ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#3

20 თებერვალი 2024 წელი

ქ.ბაღდათი 11.30 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: მურად ბურჯანაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე
გურამი კიკნაველიძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
გვანცა გრძელიძე
ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: თორნიკე გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი თვითმმართველობის საკითხებში: გია თავაძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში: რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: კახა ენუქიძე
თანამომხსენებლი: კახა გოგნაძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ.“

მომხს: ანტონ ქარაბაკი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ საკითხი მოსმენილი და განხილული არის ფრაქციისა და კომისიის სხდომებზე და კითხვები არ არის

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ მიიღოს კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ მიიღო კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“ მიიღოს კომისიამ და გატანილ იქნას საკითხი საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ განიხილა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 თებერვლის N66-662404420 მომართვით გადმოგზავნილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიში. შესყიდვები განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებების შესაბამისად. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხი განსახილველად წარედგინოს მუნიციპალიტეტის ბიუროსა და საკრებულოს.

შენიშვნები:

2023 წელში განხორციელებულ შესყიდვებში შეინიშნება შესყიდვების ხელოვნური დაყოფისა და სხვა დარღვევების შესახებ, რის გამოც დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. აღნიშნულის შესახებ მინიშნებულია სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2023 წლის 6 მარტის N872 , 2023 წლის 29 ივნისის N2241 და 25 ივლისის N2487 წერილებით.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძე